

**საკონსურსო წინადადების
რესურსული ლოკალური უწყისი 4**

*ქ. ბათუმში სტატიონის შემოღობვაზე ბუნებრივსაფარიანი სათამაშო სტანდარტის მოედნისა და სპორტის მოედნის მოწყობის
სტანდარტის განათების სისტემის მოწყობა

/ობიექტის, სამუშაოს და დანახარჯების დასახელება/
გათათიით ითვით
მოწყობის
სახარჯთაღრიცხვით
29167549 ლარი
4449287 ლარი

საფუძველი: ესკიზური პროექტი, 2015 წ. 1კმ რესურსული, მიმდინარე და საბაზრო
ფასები

№ კ/კ	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	განზომილებების ერთეული	რაოდენობა	განზომილებების ერთეულზე	საბარჯთაღრიცხვო ღირებულება ლარი	სულ
			საპროექტო			
I	განათების სისტემის მოწყობა, 1300 ლუქსი	3	4	5	6	
II	მიწის სამუშაოები განათების სისტემის ქვაბულის მოწყობაზე	ლარი				<u>6106,00</u>
I.1	მუშაობები ქარხნის პროექტის თანახმად ქვაბულში II კატეგორიის გრუნტის დაბეჭევა 0,25მ კმსკვადრით, ზომით (44X43X3მ)=48მ ² X4=192მ ²	მ ²	192,00	8,00	1536,00	
I.2	ნაწილობრივ, ქვაბულის ტრაპეციული კონტურის მისაღებად, მიწის სამუშაოები ხელოთ, აგრეთვე ქვაბულის საფუძველში 20სმ ქვიშხრების "ბალიშის" მოწყობა ხელის ვიბროსატკეპით დაბეჭეპით 90% სიმტკიცეზე	მ ³	13,00	40,00	520,00	
I.3	გრუნტის დატვირთვა 1,50მ კმსკვადრით ავტოთვიომცდელებზე და გაბანა ნაგავსაყრედზე მოლიანი მოცულობით 200მ ³ X1,35	ტ	270,00	15,00	4050,00	
2	მუშაობები ქარხნის ინდივიდუალური პროექტის თანახმად, რეინაბეჭეპონის ფუნდამენტის კარკასის მოწყობა ა-1 კლასის არმატურით (დ.20, დ.16 დ.12, დ.10) ანკეროლების დაზაკეპირებელი ირიბანით დ.24 გაბეჭეპა	ტ	4,00	1800,00	7200,00	

1	2	3	4	5	6
3	(შპს ფორმის) რეკონსტრუქციის ფუნდამენტების მიწოდება ბეტონით მ-320 ტრანსპორტირებით, ტანის მიწოდება ლითონის ინდოვიდუალური ყალიბით, კომბინირებით და სპეციალური გიდითი ბოლავების მიწოდებით	გზ	60.00	205.00	12300.00
4	ქვაბულში (შპს ფორმის) რეკონსტრუქციის მიწოდებულ ფუნდამენტის ვარშემო, კონსტრუქციის გასამყარებლად, ბალახებით და მხვილი ფრაქციის ლორდით შევსება, დატვირთვა (20-30)სმ ფენებზე ხელის კობროსატექნიკით 90% სიმტკიცეზე	გზ	128.00	30.00	3840.00
5	იმპორტით, განათების სისტემის საყრდენი გაღვანობითი ფოლადის ორსექციანი H=22მ ანძების მიწოდება პროექტირების საბაზრი კონსტრუქციით და უსაფრთხოების კამით, CIP/ობიექტი	ც	4.00	13500.00	54000.00
6	ანძების რეკონსტრუქციის საბურღი, არძორების კონსტრუქციის ჩასატანებელი სა ზედაპირზე საკონსტრუქციო ფოლადის შაბლონების და ანკერბოლონების იმპორტით მიწოდება CIP/ობიექტი (კარგითი)	ც	72.00	130.00	9360.00
7	ორსექციანი H=22მ ანძების პროექტირების საბაზრი კონსტრუქციის და უსაფრთხოების კამის სპეციალურად მიწოდებულ სტენდზე აწოდება დამონტაჟება ერთიან კონსტრუქციის და მონტაჟი 25 ტონიანი აძლით	ც	4.00	800.00	3200.00
8	იმპორტული (იტალიური კომპანია "FAELUCE") LIGHTMASTER ONE (OMC-2000) პროექტირების მიწოდება CIP/ობიექტი და მონტაჟი მალალ სიმაღლეზე ინდივიდუალური ობიექტის პროექტის თანახმად, აგრეთვე ლაზერული ხელსაწყოებით თანხადი დამონტაჟება მიწოდება გაღვანობითი წერტილებში საერთაშორისო სათანადო სტანდარტის შესაბამისი 1300 ლუმენის მისხლებზე	ც	32.00	1750.00	56000.00

1	2	3	4	5	6
9	<p>განათების სისტემის შიდა ელ-ქსელის მიწოდება, ელ-არმატურა, ელ-სადენების გაყვანილობა ტრანზეკტში (მინ. ნომერული-0.79)</p> <p>ბლასტმახის გოფირირებულ მილებში, დაერთება პროექტორებზე და მოდიანად სისტემის მონტაჟი ღუნის წყარომდე თელასის ტექნიკური პირობების საფუძველზე აგრეთვე ინდივიდუალური მართვის პულტები (კარადები) თითოეული ანბისთვის, ექსტრალური მართვის პულტი, დამიწების კონტური, მქამრიდები და ლაბორატორიული გაზომვები შესაბამისი დასკენით</p>	ქსელი (ლარი)	1.00	50000.00	50000.00
	სულ პირდაპირი ხარჯები	ლარი			<u>202006.00</u>
	ზედნადები ხარჯები 10%	%	10		<u>20200.60</u>
	ჯამი	ლარი			<u>222206.60</u>
	გეგმიური რაგროვება 8%	%	8		<u>17776.53</u>
	ჯამი	ლარი			<u>239983.13</u>
	გაუთვალისწინებელი ხარჯები 5%	%	3		<u>7199.49384</u>
	ჯამი	ლარი			<u>247182.62</u>
	დ.დ.გ. 18 %	%	18		<u>44492.87</u>
	სულ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება	ლარი			<u>291675.49</u>

ინფორმაცია წარმოდგენილი საპროექტო წინადადების UEFA-ს, FIFA-სა და IAAF-ის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ

გვინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი კომპანია შპს „ADS“-ის ქართული და ევროპული პარტნიორი კომპანიების მოდერნიზაციის ერთერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა - სპორტული ნაგებობები.

სპორტული ნაგებობების პროექტირებისას, ჩვენ ყოველთვის ვხელმძღვანელობთ UEFA, FIFA და IAAF სტანდარტებით.

შესაბამისად, ამ პროექტის კონცეფციის შექმნისას ჩვენ გავითვალისწინეთ UEFA, FIFA და IAAF მოთხოვნები როგორც საპროექტო ტერიტორიის ისე მისი არეალის ურბანული განვითარების და თვით ობიექტის საპროექტო კონცეფციის ჩამოყალიბებისას.

ჩვენს პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი ტრანსპორტის საქალაქო ქსელებს, საავტომობილო მოძრაობის ორგანიზებას, მაცურებელთა მასების უსაფრთხო გადაადგილებას როგორც სტადიონის დატვირთვისას, ისე ევაკუაციისას, ტერიტორიიდან მასების არაცალმხრივ განტვირთვისას. აქ ჩვენ ვიყენებთ არა მარტო UEFA, FIFA და IAAF სტანდარტებს, არამედ მსოფლიო კვლევებსა და გამოცდილებას სპორტული ფსიქოლოგიის ასპექტში, არქიტექტურული ხერხების გამოყენებით მასების ემოციების დაბალანსების მიზნით - პრევენციულ ზომებს.

დიდი ყურადღება ეთმობა გუნდების გასახდელების, სამსაჯო ბრიგადის, დელეგატების, სამედიცინო და დოპინგ-კონტროლის ზონებს.

მნიშვნელოვანი საკითხია მასმედიის ზონა და მისი კომფორტული თანაზონირება ფეხბურთელების ზონასთან.

სპეციფიური მოთხოვნებია სამთავრობო VVIP და VIP ზონებთან მიმართებაში - რაც ჩვენს მიერ იქნა გათვალისწინებული.

UEFA, FIFA და IAAF სტანდარტების შესაბამისად გათვლილია პარკირების ადგილები როგორც პრესისთვის, მობილური TV სტუდიებისთვის, VVIP და VIP მაყურებელთათვის, ასევე ვიპლევიტ რეკომენდაციას ადგილობრივ მუნიციპალურ ხელმძღვანელობის მიმართ, რათა მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყოს დამატებითი პარკირების ადგილები მაყურებელთათვის.

შპს „ADS“-ის დირექტორი

გიორგი ქურციკიძე

03.03.2015.

განმარტებითი ბარათი

წარმოგიდგენთ ქალაქ ბათუმში, ლეონიძის ქ.#15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სტადიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად - საკონკურსო წინადადებას.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება შეადგენს ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე UEFA-ს, FIFA-ს და IAAF-ის სტანდარტების მქონე IV კატეგორიის სტადიონს 20 000 მაყურებელზე სამაყურებლო ადგილების რაოდენობის გაზრდის პერსპექტივით.

ტერიტორიაზე აგრეთვე განსაზღვრულია მომავალში საპროექტო სპორტული დარბაზის მდებარეობა, რომელიც ითვალისწინებს 800 და 3500 მაყურებელზე ხელბურთის დახურულ დარბაზებს შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

ჩვენს საპროექტო წინადადებაში კარგად ჩანს ჩვენი ხედვა ტერიტორიის არეალის ურბანული განვითარების მიმართულებით. ჩვენს მიერ შემოთავაზებულია საპროექტო ტერიტორიისა და მისი არეალის ფუნქციური ზონირება. ჩამოყალიბებულია ტერიტორიის გარშემო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებული და განსანვითარებელი მიმართულებების სქემები, რათა ეს ახალი ობიექტი, ორგანულად შეერწყას ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას. აუცილებელია დაკორექტირდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სქემა, რათა მოხერხდეს გულშემატკივართა შეუფერხებელი მოძრაობა როგორც სტადიონის მიმართულებით, ასევე მისი დაცლის პროცესში.

აქ ჩვენ ვიყენებთ არა მარტო UEFA, FIFA და IAAF სტანდარტებს, არამედ მსოფლიო კვლევებსა და გამოცდილებას ხალხთა მასების ქცევის ფსიქოლოგიის ასპექტში, არქიტექტურული ხერხების გამოყენებით მასების ემოციების დაბალანსების მიზნით - პრევენციულ ზომებს.

სტადიონისთვის საკმაოდ კარგად მონახული ტერიტორიის გათვალისწინებით, ჩვენ შემოვდივართ წინადადებით - მოეწყოს მიმდებარე

ტერიტორიების ჩართვით „სპორტული ქალაქი“, სადაც განთავსდება საკონკურსო მოცემულობით გათვალისწინებული საფეხბურთო სტადიონისა და ორი ხელბურთის დახურული დარბაზების გარდა - რაგბის მოედანი და საცურაო აუზი - რისთვისაც გამოსაყოფი ტერიტორიის პოტენციალი ნამდვილად არის.

საავტორო ჯგუფის მიერ, საპროექტო ტერიტორიაზე განსაზღვრულია 5 პარკინგი სულ 700 მსუბუქ ავტომანქანაზე, 2 ავტობუსზე და 4 მობილურ ტელესტუდიაზე.

პარკირების ზონირება განხორციელებულია UEFA-ს სტანდარტების შესაბამისად, სეპარატულად გუნდებისთვის, პრესისთვის, VVIP და VIP ზონებისთვის და მაყურებელთათვის.

გათვალისწინებულია აგრეთვე ხელბურთის დარბაზისთვის ტერიტორიის გამიჯვნის აუცილებლობა და პარკინგებიც ისე არის დაგეგმილი, რომ ერთერთი მათგანი სწორედ ამ გამიჯვნის ზონაში ხვდება და არის შესაძლებლობა, რათა მოემსახუროს სეპარატულად მხოლოდ დარბაზებს, ან ჩაერთოს მთლიან სივრცეში და იმუშაოს სხვა პარკინგებთან ერთად.

ვხედავთ შესაძლებლობას და ვიძლევი რეკომენდაციას, რათა მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყოს დამატებითი პარკირების ადგილები მაყურებელთათვის.

მაყურებელთა შემოსვლა სტადიონზე ხორციელდება ტერიტორიის მთელ პერიმეტრზე ტურნიკეტების მეშვეობით, რომელთა რაოდენობა და გამტარუნარიანობა გათვლილია ყველა მომქმედი სტანდარტების შესაბამისად. ხოლო სტადიონის ტერიტორიის დაცლა ხდება აგრეთვე სტანდარტების შესაბამისად მთელ პერიმეტრზე მოწყობილი ალაყაფების მეშვეობით.

ვინაიდან ჩვენს მიერ, სტადიონის ნაგებობა, აწეული მიწის ნიშნულიდან 1.2 მეტრით, მაყურებელთა მოძრაობა ტრიბუნებისკენ ხორციელდება პანდუსების მეშვეობით. მსოფლიო ფსიქოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ხალხთა მასების გადაადგილება პანდუსით უფრო უსაფრთხო და ემოციების დამაბალანსებელია - ვიდრე კიბეები.

1.2-ით ნაგებობის აწევა გამოწვეულია გრუნტის ზედაპირიდან სავარაუდოდ ახლო მანძილზე გრუნტის წყლების არსებობა, არა და სათამაშო მოედნის დრენაჟის მოწყობას სჭირდება საკმაო სიღრმე.

სტადიონი წარმოადგენს ორ იარუსიან ნაგებობას, რომლის დასაჯდომი ადგილების 100 % არის გადახურული. სპორტული არენა წარმოადგენს UEFA-ს და FIFA-ს სტანდარტების მიხედვით IV კატეგორიის სტადიონის საფეხბურთო მოედანს და IAAF-ს სტანდარტების შესაბამის სარბენ ბილიკებსა და მძლეოსნობისთვის განკუთვნილ სრულ ინფრასტრუქტურას.

ის მოცემულობით განსაზღვრული პირობა, რომელიც ითვალისწინებს სამომავლოდ გულშემატკივართა დასაჯდომი ადგილების რაოდენობის გაზრდას, საავტორო ჯგუფის მიერ გადაწყვეტილია შემდეგნაირად: სტადიონის ჩრდილოეთ მხარეს, მის პირველ იარუსზე, განთავსებულია სპორტსმენებისათვის არენაზე შემოსასვლელი სადღესასწაულო თაღი, რომლის ორივე მხარეს არის დატოვებული ცარიელი სივრცე და საჭიროებისამებრ, ამ სივრცის, სრული ან ნაწილობრივი შევსების შემთხვევაში მოხერხდება დამატებითი ადგილების მოწყობა მაყურებელთათვის. ამავდროულად მეორე იარუსი და მისი გადახურვა უწყვეტია, რაც ერთის მხრივ იძლევა დასრულებულ არქიტექტურულ კომპოზიციას და კომფორტული ხედვის ადგილების მეტ რაოდენობას, ხოლო მეორეს მხრივ, მომავალი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებისას - სერიოზულ ეკონომიას.

ამ პროექტის კონცეფციის შექმნისას ჩვენ გავითვალისწინეთ არა მარტო UEFA, FIFA და IAAF მოთხოვნები როგორც სპორტული ნაგებობის მიმართ, არამედ როგორც ერთერთი სერიოზული კომერციული ობიექტის მიმართ ქალაქ ბათუმის სივრცეში, მიმდებარე არეალის ურბანული განვითარების გათვალისწინებით.

სწორედ ის დროებით გამონთავისუფლებული სივრცე წარმოადგენს დიდი კომერციული ზონის ნაწილს, რომელიც გარს ერტყმის სტადიონს და არის ამ ნაგებობის ნაწილი.

კომერციული ზონა არის მოწყობილი ისეთნაირად, რომ სპორტული ნაგებობის ფუნქციონირებას არ უქმნიდეს შეფერხებას.

დაპროექტებისას, დიდი ყურადღება ეთმობა გუნდების გასახდელების, სამსაჯო ბრიგადის, დელეგატების, სამედიცინო და დოპინგ-კონტროლის ზონებს.

მნიშვნელოვანი საკითხია მასმედიის ზონა და მისი კომფორტული თანაზონირება ფეხბურთელების ზონასთან. ეწყობა UEFA, FIFA და IAAF მოთხოვნების შესაბამისად მასმედიისთვის სამუშაო და TV სტუდიები.

სპეციფიური მოთხოვნებია სამთავრობო VVIP და VIP ზონებთან მიმართებაში - რაც ჩვენს მიერ იქნა გათვალისწინებული. მათთვის ეწყობა სეპარატული შესასვლელი მთელი საჭირო ინფრასტრუქტურით.

პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა შშმ ადამიანებს, მათ მოხვედრას სტადიონზე, კომფორტულ განთავსებას ტრიბუნაზე და სპეციალურად მათთვის განკუთვნილ სველ წერტილებს.

სველი წერტილები აგრეთვე დაგეგმილია სტადიონზე მყოფ მაყურებელთათვის ყველა სტანდარტის შესაბამისად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, სპორტული არენის განათების მოწყობა, სანათი არმატურის განთავსების ადგილის სწორი შერჩევა, რათა არ მოხვდეს მაყურებელთა ხედვის ზონაში და არ იყოს გულშემატკივართა ქვეცნობიერად გაღიზიანების ფაქტორი.

სტადიონის ტრიბუნების ხედვის მრუდის აგება, არის ერთერთი ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო საკითხი, რათა მაყურებელს შეუქმნა ტრიბუნების ნებისმიერი წერტილიდან შეუფერხებელი და კომფორტული ხედვა. სწორედ ამ ხედვის მრუდის ასაგები უნიფიცირებული ფორმულა არის გამოყენებული ჩვენს მიერ, რომელიც 2014 წელს დააპატენტა და გააჩნია მასზე საავტორო უფლება პროექტის ერთერთ ავტორს არჩილ ქურდიანს.

რაც შეეხება თვით შენობას, როგორც მის იერსახეს, ასევე სივრცულ-კომპოზიციურ გადაწყვეტას და საინჟინრო გათვლებს, საპროექტო ჯგუფმა გაითვალისწინა საპროექტო ობიექტის ქალაქ ბათუმში მდებარეობა, მისი

კლიმატური თავისებურებები, მიწის ზედაპირის დონესთან მიმართებაში გრუნტის წყლის სიახლოვა და ა.შ..

სწორედ ყველა ამ ფაქტორიდან გამომდინარე, ჩვენ წარმოგიდგენთ ქ.ბათუმში, საფეხბურთო სტადიონის საპროექტო წინადადებას და ჩვენ გვჯერა, რომ სწორედ ასეთი სტადიონი არის შესაფერისი ამ მშენიერი ქალაქისთვის. იმ არქიტექტურისთვის, იმ ბუნებისთვის, იმ გარემოსთვის, რომელიც აქ არის ესეთ შესანიშნავ სინთეზში.

საავტორო ჯგუფი:

ავტორი, არქიტექტორი
ზაქარია ქურდიანი

ავტორი, არქიტექტორი
არჩილ ქურდიანი

თანაავტორი, არქიტექტორი
გიორგი ქურციკიძე

03.03.2015.